72300000

ხელშეკრულება №006/05
სსს კოდექს-ოფისის განახლებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 3 იანვარი 2011 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ"დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2011 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით ცესკოსათვის განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით:

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, წარმოდგენილი ზურაბ ხარატიშვილის სახით, შემდგომში ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს ,,ჯეორჯიან მიკროსისტემს" დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ნორმატიული აქტების საინფორმაციო-საძიებო სისტემა კოდექს-ოფისი-ის მონაცემთა ბაზების ყოველკვირეულ განახლებას 2011 წლის 3 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე (მათ შორის: საქართველოს კონსტიტუციას; საქართველოს პარლამენტის კანონებს და დადგენილებებს; საქართველოს პრეზიდენტის (პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფო მეთაურის) ბრძანებულებებს და განკარგულებებს; საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების განჩინებებს, გადაწყვეტილებებსა და პლენუმის დადგენილებებს; საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის) ძირითად დადგენილებებს; საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადასახადო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ 1993 წლის 1 იანვრიდან მიღებულ ძირითად კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, და ა.შ.; ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებს; საბაჟო სამსახურის, ქონების მართვის სამინისტროს და სხვა სამინისტროების მრავალ დოკუმენტს), შემდგომში `მომსახურება~, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება
2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მათ შორის დღგ ჩათვლით შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.
2.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი თვეში შეადგენს სერვერზე – 50 ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 203851509

ჯორჯიან მიკროსისტემს 202268517 GEORGIAN MICROSYSTEMS

3.1. მომსახურების ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2. მომსახურების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
3.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული .მომსახურების ნაწილისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. გარანტია
4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება დროული, ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
4.2. ამ გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ამოწურვამდე.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
4.4. გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
5. მომსახურების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები
5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს 2011 წლის განმავლობაში ყოველი კვირის ორშაბათს მიაწოდოს განახლების ფაილები ელ-ფოსტის მეშვეობით ADMIN@CEC.GOV.GE.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ყოველი კვარტლის დამთავრებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა
7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
7.2. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას:
7.2.1. გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი გადაგადაცილებული დღისათვის.

203851509

202268517

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა
მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარე, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.
11. ხელშეკრულების შეწყვეტა
11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ ასევეთვე:

203851509

202268517

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე
12.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის წარმომადგენლები: რ. ლელაშვილი და გ. ძაგანია.
12.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
- გაუწიოს კონტროლი მომსახურების მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
- განახორციელოს კონტროლი მიწოდებული საქონლის ხარისხზე და დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
- მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების მიღება.
12.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევვაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი
12.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13. ფორს-მაჟორი
13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ

203851509

202268517

შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 3 იანვრიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509
ტელ: (995 32) 510051
სახელმწიფო ხაზინა
ანგ #200122900; კოდი: 220101222

ზურაბ ხარატიშვილი
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

,,მიმწოდებელი"
შ.პ.ს. ,,ჯეორჯიან მიკროსისტემს"
ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. #2
ტელ: 95-60-16; 899549857
პროკრედიტ ბანკი ცენტრ ფილ.
ა/ა: 360-201-012-900-209; ბანკის კოდი: 220101922
საიდენტიფიკაციო კოდი: 202268517

არჩილ მაისურაძე
- დირექტორი